219

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 276
დეკემბრის 24, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 276
დეკემბრის 24, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღეს, 24 დეკემბერს, კუკიის სასაფლაოს წმიდა ნინოს ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის თამარ გიორგის ასულის

ქუჩუკაშვილისა,

რასაც დედა მისი თებრონია ნიკოლოოზის ასული და ძმა მისი ნიკოლოოზ გიორგის ძე ქუჩუკაშვილები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ, პანაშვიდი შუადღის 12 საათზედ.

ოლღა მიხეილის ასული მახვილაძისა შვილებითურთ და დეკანოზი პეტრე დავითის ძე ყონჩოშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის ქმრისას, მეორენი მამისას და უკანასკნელი ცოლის ძმისას კაპიტანის

ივანე დიმიტრის ძის მახვილაძისას

და სთახოვენ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ ნავთლუღის სამხედრო ქსენონის ეკკლესიაში სამშაბათს, 24 დეკემბერს, დილის 9 საათზედ. (1—482—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით არის თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეასთან.
ახალ-ქალაქში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საჩხერეში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— არტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

სამკერვალო
ქალთა ტანსამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები

დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

დაიბეჭდა და დარიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—5)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ პარასკევს 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები:

1) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.

2) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.

3) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.

4) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.

5) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.

6) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.

8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (1—4)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

განცხადება

ერთად-ერთი ჩემ თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავ-გადასავალი“. ნათქვამია: „ყვავსაც თავის ბახალა მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს-რა, მაგრამ მეკი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოლიფერია მოხსენებული, რაც-კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინც და მაინც, იმდენი არა არის-რა, რამდენიც სხვებისა. აქ არიან მოხსენებული: 1) ჩვენი მოღვაწეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოზის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის, და სხვათა მრავალთა, ვისიც წერილი-კი საზოგადო საქმეს შეხებია. 2) ბიოგრაფია საზოგადო მოღვაწეების და ჩემი პირადი შეხედულობა მათ შესახებ. 3) ბანკების დაარსება ჩვენში, წერა კითხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედ მოყოლებულ ავან-ჩავანებით. 4) ბატონ-ყმობის ამბავი. 5) ძველებური ზნეჩვეულებანი. 6) მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღება. 7) საისტორიო ანეკდოტები და სხვანი... ერთი სიტყვით, ჩემი შეძლებისა და გვარად, ნამდვილი სარკე ნახევარ საუკუნისა! ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობას თვით მე ვკისრულობ, რომ ჩემდა გუნებისად გამოიცეს, მრავალ ტომიანი იქნება. და რადგანაც ერთად მათი გამოცემა არ მეხერხება, ჯერ უნდა გამოიცეს პირველი ტომი, რომლის ბეჭვდასაც ამ იანვრიდგან შევუდგები. ფასი თვითოეულ ტომისა მანეთია და ვისაც ჰსურს შეძენა, რადგანაც ათასორასზე (1200) მეტი არ იბეჭდება, შეუძლია ამ თავითვე დაიკვეთოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Гутенбергъ“, князію Акакію Ростомовичу Церетели და აგრეთვე ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, შიო ქუჩუკაშვილის სახელობაზე და ქუთაისში ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში.

(5—5) აკაკი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობიუ და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ჩვენ გვაცნობებენ, როს როტშილდს გადააქვს თავისი ნავთის ქარხანა ბათუმიდამ სტამბოლს, საცა მუშა ძალიან იაფია. თუ ეს ამბავი გამართლდა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს მუშა ხალხს ხუთი ათასის კაცის სამუშაო მოაკლდება.

◆ საოცარი ამბავი მომხდარა ფოთში 20 დეკემბერს შუადღისას. გურულ ტანისამოსში გამოწყობილნი ექვსნი ავაზაკნი შეცვივდნენ თურმე იქაურ ხაზინაში და ბერდანები გაისროლეს ჭერში. თოფის ხმის გაგონებაზე ხალხი ძალიან შეშინდა, დიდი არეულობაც მოხდა. ავაზაკნი ეცნენ ხაზინადრის სტოლს, აიტაცეს ოცდაათი ათასი მანეთი ფული და გაიქცნენ. ხაზინის მცველმა დარაჯებმა, რომლებიც გვიან მოვიდნენ გონს, დაუწყეს სროლა ავაზაკებს და ერთი მოკლეს, მეორე ფეხში დასჭრეს. დაჭრილი დაეცა. ეს რომ დაინახეს დანარჩენმა 4 ავაზაკმა, მაშინვე ესროლეს თოფი დაჭრილს ამხანაგს, ალბად იმიტომ, რომ არ გაეცა. ავაზაკნი გაიქცნენ. სასტიკი ღონისძიებანია მიღებული მათ დასაჭერადაო.

◆ კავკასიის რკინის გზათა უფროსის განკარგულებით, შობის მეორე დღეს შეჩერებულ იქნება მატრებლების მისვლა-მოსვლა.

◆ ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო უფროს ექიმის განკარგულებით, ქალაქის გადამდებ სენით შეპყრობილთა საავადმყოფოში გამართულ იქნება შობის ხე ყმაწვილებისათვის, რომელნიც რჩენაში არიან. დროებით მაინც საავადმყოფოში უნდა იყვნენ.

◆ ბაქოში მცხოვრებ ქართველებს განუზრახავთ წელსაც, როგორც ყოველთვის, წერა-კითხვისა და ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გაჰმართონ კონცერტი; კონცერტში მონაწილეობის მისაღებად აპირობენ მოიწვიონ გამოჩენილი მომღერალი და სახელგანთქმული ქალი—ლა-კავალერი.

◆ როგორც შევიტყეთ, ქალაქის ქუჩების მომკირწყლავ კომისიის თავმჯდომარის აზრით, ქუჩების მოკირწყვლა შესაძლოა გაზაფხულზედაც დაიწყონ, რადგანაც ცოტაოდენი მასალა უკვე აქვს ქალაქს შეძენილი; თუ დამაბრკოლებელი მიზეზი არა აღმოჩნდარა, ქუჩების მოკირწყვლა უეჭველად ამ დამდეგ წელს დაიწყებაო.

◆ ჩვენ მივიღეთ კედლის კალენდარი, შედგენილი და გამოცემული გრ. ჩარკვიანის მიერ. ფასი 40 კაპ.

◆ 20 დეკემბერს ტფილისის სამეურნეო ბანკში ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრების განგრძობა იყო. დიდი კამათი გამოიწვია მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვამ. კრებამ არ დაამტკიცა მომავალ წლის ხარჯი, რადგან გამგეობამ გარკვევით ვერ წარუდგინა კრებას, რა პირობით აიღო მან თეატრი თავად-აზნაურობისაგან. დასასრულ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება მსახიობთა მთელის წლით შენახვის შესახებ. კრებამ მოხსენება მოიწონა და დაადგინა არსებითად მაისში განიხილოს. რადგან გვიანღა იყო, კრება გადაიდო 27 დეკემბრისათვის.

◆ 14 დეკემბერს ხარკოვში გაუმართავთ „კავკასიელთა საღამო“ იქაურ უნივერსიტეტის და ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ქართველ, სომეხ და მაჰმადიან სტუდენტთა სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობა მიუღიათ წერეთლის საოპერო დასის არტისტებს, რომელთაც უმღერნიათ მეორე მოქმედება „პიკის ქალისა“ და მეორე მოქმედება ოპერის „ლაკმე“-სი. შემდეგ საკონცერტო განყოფილება ყოფილა: უმღერიათ ქართული და სომხური რომანსები. „ცხოველი სურათებიც“ გაუმართავთ კავკასიელ ცხოვრების შესახებ. დასასრულ ყოფილა კავკასიური ცეკვეა ზურნასა და საზანდარზე. საღამოს ძალიან ცოცხლად ჩაუვლია.

◆ ტფილისში შესდგა სცენის მოყვარულთა ახალი გუნდი, რომელსაც აზრად აქვს სახალხო წარმოდგენების მართვა დაიწყოს ვერაზედ ამ სცენის მოყვარულთა გუნდს დახმარებას აღმოუჩენს და ხელმძღვანელობას

გაუწევს ავჭალის ქუჩის სახალხო წარმოდგენების სექცია. წარმოდგენები ვერაზე გაიმართება იმ სადგომში, რომელიც ეკუთვნის რუსეთიდგან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებას. ეს სახლი ამ ჟამად ცარიელია და მისი სასცენოდ გადაკეთება 60 მანეთამდე დაჯდება.

✦ 28 დეკემბერს, ტფილისის ქალაქისსაკრედიტო საზოგადოების სადგომში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ის ექვსი მამული, რომელიც 21 დეკემბერს გაუყიდველი დარჩა. 21 დეკემბერს 18 მამული გაიყიდა,

27 დეკემბერს ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში ქართული წარმოდგენების სექცია წარმოადგენს „ავაზაკებს“, ტრაგედიას 5 მოქ. ან. ფურცელაძისას.

ამავ პიესას სცენის მოყვარულნი მეორე დღეს, 28 დეკემბერს, რკინის სახელოსნოების თეატრში გაიმეორებენ.

✦ იანვრის შუა რიცხვებში ტფილისში მოელიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ი. კ. ივანოვსკის, რომელიც ამ ჟამად სამსახურის გამო პეტერბურგში იმყოფება.

✦ 29 დეკემბერს ტფილისის ვაჭართა საზოგადოების წევრთ კრება ექმნებათ სხვა-და-სხვა თანამდებობის კაცთა ამოსარჩევად. კრება დილის 11 საათზე დაიწყება.

✦ „ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულმა კონცერტმა კარგა ჩაიარა და დიდძალი ხალხიც მიიზიდა. შემოსავალი 1000 მ. აღემატება.

✦ 21 დეკემბერს სცენის მოყვარულებმა რკინის გზის სახელოსნოების თეატრში, ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა და ე. გუნიას მონაწილეობით, წარმოადგინეს „უბედური“, დრამა სამ მოქმედებად. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ როგორც გვატყობინებენ, ქართლში სხვა-და-სხვა სოფლების მახლობლად დიდი თოვლისა და საშინელ ქარბუქის გამო ათამდე კაცი დამხრჩვალა.

✦ მოახლოვდა ბედნიერი დღეები და ქურდ-ბაცაცობა და ტაციობაც გახშირდა; ამ დღეებში ერთი 12—13 წლის ყმაწვილი, ვიღაც პრიჩკოვსკის შვილი იქამდის გაკადნიერდა, რომ საღამოს 9 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, ერთს ქალს ხელიდგან გამოსტაცა რიდიკიული და გაიქცა. ქალის წივილ-კივილმა ხალხის ყურადღება მიიპყრო; ბავშვი დაიჭირეს და რიდიკიული წაართვეს, რომელშიაც ორი მანეთი აღმოაჩნდა. დამნაშავეს პოლიციაში ამოაყოფინეს თავი.

✦ 28 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის სადგომში უკანასკნელად ექმნება კრება ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დამხმარებელ უმთავრესს კომიტეტს.

✦ წარსულ ოქტომბერს ქალაქის საპროფესიონალო სკოლის მეექვსე კლასი, ამა სკოლის გამგეს განკარგულებით, გაუქმებულ იქმნა. ქალაქის სკოლის კომიტეტმა უკანასკნელ სკოლის კრებაზედ დაადგინა ამა სკოლის მეექვსე კლასი გახსნილ იქმნას პირველ იანვრიდგან და მეგირდებს ასწავლონ ქარგვა და სხვა-და-სხვა საუცხოო ხელსაქმე.

ჩვენებური ამბები

პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა). დალოცვილმა ზამთარმა და მთებზედ ჩამოწოლილმა თოვლმა თუმცა დროებით-კი, მაგრამ მაინცა და მაინც ძლიერ დაგვაშორა პირიქითელი მაწანწალა ცხენების ოსტატი ქისტები; ახლა ოსებმა მოიტანეს ჩვენს ცხენებზედ იერიში. ნოემბრის ნახევრებში ს. ომალოელი ქისტი ხთისო იმედაშვილის 6 ცხენი წაიყვანეს, მაგრამ ძნელად იქნება, რომ ქისტს, თუ ისევ ქისტმა არა, ცხენი მოჰპაროს ვინმე, იმიტომ რომ მიმცემი არავინ ეყოლება და ქისტსაკი თუნდაც გაუგოს და ან გზაში დაეწიოს სისხლის ზღვევის შიშით ვერ მოჰკლავს და ვერც გასცემს. მალედვე გაუგეს ქისტებს, გამოეკიდნენ და დააყრევინეს ცხენები, ხოლო ქურდებმა გაქცევა მოასწრეს აქ დროებით სათავადო მამულზედ მცხოვრებს ოსს ქარიმა ვალიშვილს 10 ნოემბერს საბძელში უპოვეს მისგან ს. ალვანიდამ მოპარული და დაკლულ-დამარილებული მთელი ძროხა. ამას წინად ერთ ოსს ფარეხიდამ მოჰპარეს ორი ცხვარი. შემდეგ პატრონი დაუყარაულდა ქურდს. მეორედაც მივიდა ცხენების მოსაპარავად მაჰმადიანი ქისტი ჩაქია ფათარაშვილი; ფარეხში დაყარაულებულმა მწყემსმა გაიგო და შიგვე ნეკა დანით ფაშვები გამოაყრევინა. ვაჟიძე გულბათაშვილი, რომელიც ამას წინათ ქისტებმა დასჭრეს, ამ თვის 7 ჭრილობისაგან გარდაიცვალა. 25 ნოემბერს ს. ხადორში მოულოდნელად გაჩენილის ცეცხლისაგან გადიწვა მთლად სამი კომლის სახლკარი და მეოთხე კომლისა სიმინდით სავსე სასიმინდე გოდორი. ზარალს დიდს ამბობენ. ამავე რიცხვებში მოხდა მოხელეთა არჩევა მთელს ხეობაზედ; თუმცა მაზრის უფროსმა ურჩია ხალხსა ერთი მამასახლისი ჰყოლოდათ, მაგრამ იმათ მაინც წინანდებულად ორი ამოირჩიეს ქისტებმა ლაბო გუმაშვილი და ფშავლებმა გიორგი მერაბიშვილი. ეს მესამე თვეა თითქმის მთელ ხეობაზედ ყივანახველაა მოდებული; ბავშვებს ძრიელ აწუხებს და კიდეც აზარალებს, მაგრამ ჩვენთვის საშველი არსაიდამ არ არის.

ქისტი-ხობანი.

საღოლაშენი. შემოდგომამ ხშირის ავდრებით და სიცივით გაიარა. დადგა რიგი ზამთრისა, რომელმაც ისე მკაცრად შემოგვიტია ზამთრისთვის მოუმზადებლებს, რომ სულ დაგვავიწყა წინა წლების ზამთრიანობა. გიორგობისთვეში მოსულს თოვლს ზედ დაემატა ქრისტეშობისთვისაც და 15 ამ თვეს ისე სქლად დადო, რომ თითქმის ერთი არშინი იქნებოდა. ამ დღეს, საღამოზედ ახლად დადებულს თოვლზედ ამოვარდა დიდი ქარი და ფიფქ-თოვლის კორიანტელმა ისე დააბნელა არე-მარე, რომ სამ-ოთხ ნაბიჯზედ კაცი ვერას გაარჩევდა. ისე უცებ იყო ამ ქარის ამოვარდნა, რომ მრავალი მგზავრი ამ საშინელს კორიანტელში გარეთ უნდა დარჩენილიყო. ასეც მოხდა. ქარის ზმუილ-ღმუილის დროს საღოლაშნელებს და წვერელებს გაეგონათ ხმა: „ქრისტიანებო, მიშველეთო“. ხალხი დაუზარებლივ, ზოგი ქვეითი ხელისხელს ჩაკიდებით, ზოგიც ცხენებით, გაემურა გაჭირვებულის საშველად, მაგრამ შუაღამემდის ძებნის შემდეგ უკანვე დაბრუნდა: საწყალს ისე არეოდა გზა, რომ სოფელში თითქმის შემოსულს, ისევ გაეხვია გვერდზე, შორს წასულიყო და ხმა ვეღარ მიუწვდინეს. საწყალი მხოლოდ მეორე დღეს ცოცხალ მკვდარი იპოვეს დედოფლის წყალის მინდორზედ და დააბინავეს საღოლაშენში სარდიონ ამირეჯიბის ბოსელში. ავადმყოფი აღმოჩნდა გიო კაპანაძე, რომლის მორჩენას დიდის გულმტკივნეულობით შეუდგა კნ. მაკინე ავალიშვილის ასული ამირეჯიბისა; რაც-კი მოაგონდა, ან მოხერხდებოდა სოფლად ყოველ საშუალებას ხმარობს ავადმყოფის მოსარჩენად. ექიმის მოყვანა შეუძლებელია, რადგანაც გზები შეკრულია და მეზობლიანთაც მისვლა გასაჭირია.

მაინც ეს ღვთისნიერი ადამიანები, როგორნიც არიან სარდიონ ამირეჯიბი და მეუღლე მისი მაკინე ავალიშვილის ასული ამირეჯიბისა, ყოველთვის მზად არიან, თუ ხელი ან ღონე შესწევთ, ყოველს შემწეობა აღმოუჩინონ. გულმოწადინებულნი არიან სწავლა-განათლება გავრცელდეს საღოლაშენში, სადაც ესენი მოსახლეობენ და აქამომდე თითქმის ამ ათის წლის განმავლობაში მათ სახლში დადიოდნენ სოფლის ბავშვები წერა-კითხვის შესასწავლად. ამ შემოდგომაზედ სარდიონისავე მეცადინეობით გახსნილა სამრევლო სკოლა, რომელსაც თავადმა შესწირა შენობისათვის და ბაღისათვის ადგილი.

სკოლა გაიხსნა აგრეთვე ბრეთშიაც. მადლობა ღმერთს! ძლივ ვეღირსეთ. მხოლოდ ამ სკოლას არავინ არ უჩანს გულშემატკივარი. ერთი ბლაღოჩინი გიორგი ედილაშვილი არ ზოგავს ამ სკოლის კეთილ-დღეობისათვის შრომას და ჯაფას, მაგრამ მარტო ერთს წვრილშვილ უჯამაგირო კაცს რა შეუძლიან?..

ი. ა.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან).

(დასასრული *)

3-ს დეკემბერს კრება გაიხსნა დილის 12 საათზედ. დაიწყო მსჯელობა მელიორაციულ კრედიტზედ.

გამოითქვა აზრი, რომ საზოგადოდ ამ კრედიტისათვის საკმაო ფული არ იხარჯება, ამიტომ, ვინც წლის პირველ ორ-სამ თვეს ვერ მოასწრობს კრედიტის გამოტანას, იმან მეორე წლის ხარჯთაღრიცხვას უნდა უცადოს, რაც ძალიან აბრკოლებს ამ კრედიტის გავრცელებას, თუმცა იგი საწინდრითაც უზრუნველყოფილია და აღებულ ფულის მოხმარებასაც მეთვალყურე ჰყავს, თითქო ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ამ კრედიტს მრავალი მომხმარებელი და თანაც ნაყოფიერად მომხმარებელი უნდა ჰყავდეს, მაგრამ საქმე სათავეშივე არის დაბრკოლებული. თუ გინდაცა, პირველი დაბრკოლება დასძლიე, ახლა ორი სხვა დაბრკოლება დაგიხვდება წინ: ერთი, რომ მესამე წლიდგან თხოულობენ გადახდას, მეორე, რომ მთელი კრედიტი 15 წელ. ნაწილდება. ეს წესი სხვა მეურნეობაში იქნება ხელსაყრელია, მაგრამ მევენახეობაში არ გარგობს, რადგანაც ვენახი მესამე წლიდგან-კი არ იძლევა შემოსავალს, მეოთხე და მეხუთე წ. იწყობს ნაყოფის მოცემას, ამასთან 15 წ. განაწილებული საგრძნობელ [illegible] წლიურ გადასახადს თხოულობს. თუ დავუმატებთ, რომ გადაგირავებაც უარ ყოფილია, თუმცა არავითარი საბუთი არ არის ამისათვის. ცარიელი მიწა ვენახად ქცეული თვისი შენობებით და აგეჯით, რასაკვირველია, მეტი ღირს, მაგრამ გადაგირავების ნებას არ იძლევიან. ასეთი შეხედულობა მეურნის ღვაწლსა და შრომაზედ ზნეობრივადაც და ნივთიერადაც მას ადუნებს. რომელ ერთს გაუძლოს მეურნემ? რა მელიორაციული კრედიტით მოსარგებლე მეურნე და რა საზოგადოდ მემამულე! ყველანი ერთ ტაფაში იწვიან. 25 წელ., რაც სახელმწიფოში გაბატონებულია მფარველობა მრეწველობისა (პროტექციონიზმი). მთელი ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო უდიერი დამოკიდებულია მიწის მშრომელისათვის და მთელი თავისი სიმძიმით აწვება მიწას, რასაც ამ სიმძიმის ქვეშ უკანასკნელი სისხლი გამოეცალა და მისი პოხიერებით გაჩნდნენ მილიონერები. ახლა მაინც გული მოიბრუნოს მიწაზედ, შეუმსუბუქოს მრეწველობის მფარველობით (პროტექციონიზმით) გამოწვეული სიმძიმე.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: ვითხოვოთ, 1) რომ ხაზინამ საკმაო ფული გადასდოს მელიორაციული კრედიტისათვის, 2) რომ გადახდევინება იწყობოდეს მეხუთე წლიდგან, 3) რომ კრედიტი განაწილდეს არა ნაკლებ 24 წლ., 4) რომ შემცირებულ იყოს მიწაზედ გადასახადი.

შესახებ მეურნეთა შეერთებისა ამხანაგობებად, საზოგადოებად, კრებამ გაიხსენა კერძოდ კახეთის მეურნეთათვის თავად-აზნაურთა კრების არჩეული კომისიისაგან შედგენილი წესდება, აგრეთვე ნორმალური წესდება იმპერიის მეურნეთათვის და საიუბილეო გამოფენის დროს სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ წაკითხული მოხსენება ამავე საკითხზედ და მიუმხრო სამეურნეო საზოგადოების კრების დადგენილებას.

თავმჯდომარემ დააყენა საკითხი: ხელის შეწყობა და გავრცელება იმ წარმოებისა, რასაც მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენს მეურნეობასთან და რაც ჩვენი მეურნეობის შემოსავალს გაადიდებს. განსაკუთრებითი ღონისძიებანი გამოსადეგნი გლეხთა მეურნეობისათვის.

ამ საკითხმა მოაგონა კრებას ის შავი ღრუბელი, რომელიც კავკასიონის მთას მოახლოვებია და ამიერ გადმოსვლას ლამის ჩვენი მევენახეობის წასარღვნავად.

კრება შეშფოთდა მონოპოლიის შემოღების გახსენებაზედ. უმრავლესობა არ იცნობდა მონოპოლიის წეს-რიგს. აღძრულ კამათიდგან გამოირკვა, რომ ჩვენ მეურნეობასთან მჭიდრო კავშირი აქვს ჭაჭა-თხლის ჯეროვან ფასად გასაღებას, რომ მონოპოლია, არა თუ ხელს შეუწყობს ამას, არამედ ამ ერთად-ერთს საშუალებას, რომლითაც გლეხი იხდის სახელმწიფო გადასახადს, მონოპოლია სრულიად გადასაყრელს გახდის. ამასაც არ დაგვაჯერებს, იქამდის ხელ-ფეხს შეუკრავს ღვინით ვაჭრობას, რომ ღვინის ფასს ერთი ათად დაამცირებს. რომ ეს თითქოს სიმთვრალის წინააღმდეგ მიმართული ღონის-ძიება, სწორედ სიმთვრალის წამქეზებელ ღონის-ძიებად შეიქმნა ბესარაბიაში. ისეთი წეს-რიგი შეიტანა მონოპოლიამ ბესარაბიაში, რომ ბოთლი ღვინო კაპეიკად იყიდებოდა, ე. ი. კვასზედ კიდევ იაფად. რასაკვირველია, ასეთმა საზღაპრო სიიაფემ დიდ-ძალი მხმარებელი გაუჩინა ღვინოს, ვინც კვირაში და თვეში ერთს ბოთლ ღვინოს ყიდულობდა და სვამდა, ეხლა დღეში ათის სვამს; რომ თუ საქართველოშიაც, სადაც, ისეთი მომთვრალნი სრულებით არა გვყავს, როგორნიც მთას იქით არიან, გასამართლებელი საბუთი არ მოეძებნება მის შემოღებას და თუ მართლა შემოვიდა მონოპოლია, პირველ ხანებში დიდად აზარალებს საქართველოს მევენახეთ.

თავმჯდომარემ გააცნო კრებას მევენახეთა კრების გადაწყვეტილება ამავე საკითხის შესახებ და კრებამ მიიღო ესევე გადაწყვეტილება.

შესახებ სამეურნეო ნაწარმოების გაზომვის გაწესრიგებისა კრებამ დაადგინა, რომ ყოველივე სამეურნეო ნაწარმოები იყიდებოდეს წონით და მოსპობილ იქმნას საწყაო ხორბლეულისა და ღვინო-არაყისა.

შესახებ სამეურნეო ნაწარმოების გადატან-გადმოტანისა და ტარიფისა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სამეურნეო საზოგადოებისა, რომელშიაც სხვათა-შორის ნათქვამია, რომ ტარიფი ღვინისა გათანასწორებულ იქმნას ლუდის ტარიფთან.

საკითხმა—მეურნეთაგან უშუამავლოთ სახელმწიფო ფოდრათების აღებისა ზედაშეზედ—გამოიწვია ცხარე კამათი. უწმ. სინოდს წელიწადში 9 მილიონი ვედრო წითელი ღვინო სჭირდება ზედაშეთ. მართლ-მადიდებელი ეკლესიის მოთხოვნილებაა, რომ ზედაშეთ ხმარებული ღვინო იყოს შეუზავებლად ყურძნის წვენი, წითელი, ტკბილი და მაგარი. ამ ოთხს თვისებაში სამი სრულდება და ერთი-კი არა, ე. ი. დღეს ზედაშეთ ხმარებული ღვინო წითელია, ტკბილი და მაგარი, მაგრამ ყურძნის წვენი-კი არ არის. ეს გარემოება დიდად საყურადღებოა მთელს საქართველოსათვის, რომელსაც შეუძლიან ეკლესიასაც სამსახური გაუწიოს მით, რომ მისცეს ნამდვილად ყურძნის წვენი ზედაშედ და თვისი დაქვეითებული მევენახეობაც ფეხზედ წამოაყენოს. რასაკვირველია, ამ საქმის მოწყობას დიდი ორგანიზაცია უნდა, რასაც კერძო კაცი თუნდაც შესძლებდეს, სახლოთ არ უნდა ჩაითვალოს. ყველას ის ემჯობინება, თვით უწმინდესმა სინოდმა მოაწყოს ორგანიზაცია ზედაშისა კახეთში. ამით ერთის მხრივ ეკლესია სავსებით დაიკმაყოფილებს თავისს მოთხოვნილებას და ამასთანავე მოუტანს ხალხს დიდ სარგებლობას, რაც უფრო უადრეს მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

კრებამ მოიგონა ის დაბრკოლებანი, რომლებიც გლეხებს ხელს უშლიან სახელმწიფო ფოდრათების აღებაში და დაადგინა ვითხოვოთ: 1) რომ უწმ. სინოდმა ან თვით იკისროს ორგანიზაცია ზედაშის დამზადებისა კახეთში, ან კახელ მევენახეთ მისცეს ეს ფოდრათი; 2) რომ გლეხებს ერთიერთის თავდებობით ეძლეოდეს ფოდრათი.

დანარჩენ კითხვების შესახებ მიიღო გადაწყვეტილებანი სამეურნეო საზოგადოებისა და მევენახეთა კრებისა.

დასასრულ კრებამ მოისმინა თავისი დადგენილებანი და დაიწყო კამათი, შეიძლება თუ არა ყველა ამის განხორციელება აწინდელ პირობებში. მოკამათენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ დადგენილებათა განხორციელებისათვის საჭიროა აწინდელი პირობების შეცვლა, რომ საქართველოს მცხოვრებთ მრავალი დაწესებულებანი აქვს, რომელსაც თავის ძალ-ღონით საუკეთესოდ უძღვებიან, როგორც მაგალ. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული და სომხური დრამატიული საზოგადოებანი, სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოება, მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“, ქართლის მემამულეთა სინდიკატი, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება, ქართველთა და სომხეთა სამოსწავლო კომიტეტები, ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელნი საზოგადოებანი ყველა დიდსა და პატარა ქალაქებში, სომხეთა და ქართველთა საკრედიტო დაწესებულებათა მართვა-გამგეობა, ყველა ესენი უტყუარი მოწმენი არიან, რომ საქართველოს მცხოვრებნი მომზადებულნი არიან საერთო წეს-წყობილებისათვის და ამასთან მისწრაფება მთავრობისა მეურნეობის გაუმჯობესობისათვის ვერ მიაღწევს წადილს, თუ საქართველოში ერობა არ იქმნა შემოღებული.

კრებამ მეორედ მიიღო გადაწყვეტილება: ვითხოვოთ ერობა იმ სახით, რა სახითაც პირველად იყო რუსეთში შემოღებული.

თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, ფეხზედ ადგომით პატივი ეცა გარდაცვალებულ ტიხეევისათვის და თანაც გააცნო კრებას, რა დიდი ღვაწლი მი-

ფელეტონი

წარსულიდგან.

პატარ-პატარა ამბები

მ. გ. ვეიდენბაუმისა *)

I.

ჩხუბი ქალების აბანოში

თავის თავად ეს ამბავი აგრე რიგად არ არის საყურადღებო. საყურადღებო უფრო ისაა, თუ რა კანონები მიუყენა სამსჯავრომ ამ საქმეს, როცა მის განხილვას შეუდგა.

ოციან წლების დამდეგს, ტფილისის ერთ-ერთ აბანოში, ტანს იბანდნენ მაიორის მეუღლე კნეინა ბარბარე თუმანიშვილისა და სახელმწიფო გლეხის ცოლი კარიანა ყაზაროვისა. ყველას მოეხსენება, რომ აბანოში ყველა წოდება და ხარისხი თანასწორდება: აბანოში, წოდებისა და ხარისხის მაჩვენებელი ნიშნები, პაგონები, ღუგმა-ბუზმენტი და ზიზილ-პიპილები არ მოიპოვება. ყაზაროვისამ მოიწადინა ტაშტი აევსო წყლით იმ აუზიდგან, რომლის სიახლოვესაც მაიორის მეუღლე განცხრომას ეძლეოდა. კნეინამ ეს იუკადრისა და ხელი ჰკრა ყაზაროვისას. გულმოსულმა გლეხის ცოლმა, რომელმაც არ უწყოდა, თუ ვის უპირებდა შეხებოდა, თვისის ტლანქისა და ბრიყულის ხელით, ზედ ფეხებზედ დასცხო კნეინას სპილენძის ტაშტი. მცირე, მაგრამ სასტიკი ხელჩართული ომი გაჩაღდა. რაკი გაუჭირდა ნაზ კნეინას ბრძოლა ხეპრე და გაუთლელ გლეხის ცოლთან, დედიშობილა გამოვარდა დერეფანში და დაუძახა თავის დენშჩიკს საველი ვოიტოვს მიშველეო. რადგან სამხედრო ძალა ჩაერია დავი-დარაბაში, წესი და რიგი მალე იქმნა აღდგენილი. საველი ვოიტოვი სწვდა ყაზაროვისას თმებში და დედიშობილა გარედ გამოათრია.

აბანოში დაწყებული საქმე გადავიდა ტფილისის სამაზრო სამსჯავროში. მაიორის ცოლი კნეინა თუმანიშვილისა სჩიოდა, გლეხის ცოლმა ყაზაროვისამ შეურაცხყოფა მომაყენა, გამლანძღა, გამათრია და გამლახაო. საჩივარი ისე იყო შედგენილ-დაწერილი, როგორც ამას მოითხოვდა წესი და რიგი ძველებურის ხრიკიანის მომჩივნობისა. არზაში იყო მოხსენებული, რომ ყაზაროვისამ სპილენძის ტაშტი შიგ საფეთქელში დამთხლიშაო, რომ ქივილ-ხივილზე მოვარდა უბნის მეთვალყურე გოლოვაჩევსკი და უბძანა თავის ათისთავს ეცემნა ყოვლად უდანაშაულო მაიორის მეუღლისათვისაო, რომ ამ ვაივაგლახის დროს მწუხარება და ტანჯვა გამოიარა აგრეთვე კნეინა სოფიო თუმანიშვილისამ და სხვა-და-სხვა.

მაგრამ სამაზრო სამსჯავრო მიხვდა, საქმე როგორც ყოფილიყო და არ გაება ხრიკებით გაბლანდულ ბადეში. რაკი მოგონილი, მოჭორილი ამბავი სიმართლეს მოაშორა, ძიებისა და ჩხრეკის შემდეგ, სამსჯავრომ ნახა, რომ ჯავრის ამოსაყრელად კნეინა თუმანიშვილისამ უბრძანა თავის ქმრის დენშჩიკს, ტფილისის მეციხოვნეთა ბატალიონის ჯარის კაცს ვოიტოვს, გამოეთრია აბანოდგან გარედ სახაზინო დედა-კაცი ყაზაროვისა, ჩხუბი რომ აუტეხა კნეინას აბანოში; ვოიტოვმა ბძანება ხომ შეასრულა და შეასრულა, კიდევაც გალახა ყაზაროვისა და რაც უფრო უარესია, ბიაბრუობა მიაყენა დედაკაცს, დედიშობილა და ტიტლიკანა რომ ათრია თმით; თანახმად მეფე ალექსი მიხეილის ძის დებულებისა, კარი მეათე, მუხლი 210 და სამხედრო წესდებისა, კარი მეთვრამეტე, არტიკული 153, კნეინა თუმანიშვილისამ დაკმაყოფილების უფლება დაჰკარგა, მით უმეტეს, რომ არ დაირცხვინა და თვითონაც დედიშობილა გამოვარდა გარედ აბანოდგან და უბძანა დენშჩიკს შესულიყო აბანოში იმ დროს, როცა აბანო სავსე იყო დედიშობილა ქალებით. ამისდა გვარად სამაზრო სამსჯავრომ დაადგინა: 1) სამართალში მიცემული ყაზაროვისა ამას იქით თავისუფალია გამოძიებისა და სამსჯავროსაგან, ხოლო სასტიკად უნდა ჩააგონონ, რომ შემდეგისთვის ამგვარ საქციელს მოერიდოს, თორემ დაისჯება აუცილებლივ კანონის ძალისამებრ; 2) კნეინა თუმანიშვილისას მტკიცედ გამოეცხადოს, რომ, უკეთუ ვინმე შეურაცხებას მიაყენებს, ხელი არ გამოიღოს და თვითონვე ნუ გაუსწორდება შემლახველს და 3) სამხედრო მთავრობას მიეცეს უფლება მოახდინოს განკარგულება, რომ ჯარის-კაცი ვოიტოვი დედაკაცების ჩხუბში არ ერევოდეს და ქალების ბრძანებას ნუ აასრულებს, როცა ისინი ერთმანეთსა სწეწენ.

ეს განაჩენი გადაშინჯა საქართველოს უმაღლესის სასამართლოს ექსპედიციამ და დაამტკიცა საქართველოს მთავარ-მართებელმა ა. პ. ერმოლოვმა. აღსრულებაში მოიყვანეს 1822 წ. 25 აპრილს.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, საქმე იმითია შესანიშნავი, რომ ამისთანა უბრალო საგნის გარჩევა—გადაწყვეტის დროს, როგორიცაა საჩივრის უყურადღებოდ დატოვება, რადგან მომჩივან-მოპასუხემ ერთმანეთს მიაყენეს შეურაცხება, სამსჯავროს დასჭირდა მიეშველებინა მეფე ალექსი მიხეილის ძის დებულება 1649 წლისა და პეტრე დიდის სამხედრო წესდება 1716 წლისა. საფიქრებელი-კია, რომ ყველაზედ ძრიელ დაისჯებოდა ერთგული და გამგონე დენშჩიკი ვოიტოვი. სამსჯავროს განაჩენი—ებძანოს სასტიკად ვოიტოვს—აბანოში მოჩხუბარ ქალების დავი-დარაბაში არ გაერიოს,—უნდა გამოეცხადებინა ვოიტოვისთვის მეციხოვნეთა ბატალიონის კამანდირს მაიორ შმატოვს. ყველამ კარგად იცის, თუ რას მოასწავებს მაშინდელი ჩაგონება და სუსხის მიცემა. უეჭველია ვოიტოვი შმატოვის ჩაგონებით გონს მოვიდოდა, წესიერის მორჩილებით და უდავიდარაბოდ მიიღებდა მაიორის სუსხსა, მაგრამ არა გვგონია მიხვედრილიყო ვოიტოვი, რომ მეტიჩრობა და უადგილო სამხედრო კაცის ჩარევა იმისთანა საქმეში, რომლის გადაწყვეტა სამსჯავრომ შესძლო მხოლოდ სასტიკის სამხედრო წესდების დახმარებით.

II

როგორ ფასობდა ტფილისში ყმა დედა-კაცი.

1813 წელს ტფილისის მოქალაქე სულხანაკოვმა მიჰყიდა მოზდოკში მცხოვრებ პაპოვს გოგო თამარი, სომხურად მონათლული ოსის ქალი, 50 მანეთად ასიგნაციით.

1819 წელს იყიდა მეექვსე კლასის მოხელემ ექვთიმე ვინოგრადსკიმ მეშვიდე კლასის მოხელე მუკინისაგან მოახლე გოგო ელისეევისა. 1824 წ. მოახლე ელისეევისა შეძენილის შვილით ვინოგრადსკიმ მიჰყიდა შტაბის ექიმს ბოგოროდიცკის 200 მანეთად ასიგნაციით.

გზათა მეოთხე ოლქის მეორე განყოფილების მმართველს, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკს, გრაფ დე-მარმონდს, ჰყავდა ტფილისში მოახლე გოგო ლიუბოვ აბრამოვისა. მარმონდის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ განსვენებულს სახელმწიფო ფულები გაეფლანგა. გზათა უმთავრესის გამგეობის საბჭომ ბრძანება გასცა, რომ გაეყიდნათ კანონიერ წესისა

---

*) იხ. „ივერია“ №275.

*) ფსევდონიმი გამოვააშკარავეთ ავტორის, თვით ბ-ნ ვეიდენბაუმის, ნებადართვით. აქ მოყვანილი ამბები ფსევდონიმითაა მოწერილი. ა. ყ—ძე.

ძლევს მას ჩვენი კლინიკური მხრის გამოკვლევაში; კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ ტიხევს.

ნადიკვრელი.

კავკასია

ალაგირი (თერგის ოლქი). ქართული სამრევლო სკოლის დარბაზში ყოველ კვირაობით იმართება ლიტერატურული საღამოები და ბუნდოვანს სურათებს უჩვენებს მასწავლებელი ბ-ნი ე. სირბილაძე. სურათებს, რადგანაც სკოლას ამ ჟამად არ მოეპოვება, გარდა „ფარნისა“, უგზავნის კავკავის ქართული სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ლუარსაბ ბოცვაძე საღამოებზედ ხალხი ბლომად ესწრება, ქართველები, რუსები და ოსები, როგორც დიდები, აგრეთვე რუსების და ოსების მოწაფეებიც სამს ენაზედ უხსნის მასწავლებელი სურათების ჩვენების დროს. ძლიერ ნასიამოვნები ბრუნდება ხალხი

პეტრე მეტრეველი.

რუსეთი

ტოლსტოის ავადმყოფობა. 13 დეკემბრიდგან ძლივს წამლების სმას ტოლსტოიმ თავი დაანება. 7 დღის განმავლობაში ტოლსტოის, რაც ავად გახდა, არაფერი უჭამია. 13 დეკემბერს მადა მოუვიდა და თოხლო კვერცხები და რძე მოითხოვა. 14 დეკემბერს ღამე ცუდათ ეძინა, ხშირად ეღვიძებოდა. ღამის თევის დროს ჩამოვარდა ჯანმრთელობაზედ ლაპარაკი, საჭიროა თუ არა ჯანმრთელობა ადამიანისთვის.

შეცდომაა, — სთქვა ლევ ნიკოლოზის ძემ, — როცა კარგად ყოფნის დროს ერთმანეთს ჯანმრთელობას უსურვებენ.

ხანდახან ავადყოფნაც უნდა ვუსურვოთ ერთმანეთს. ავად ყოფნა ძლიერ აფხიზლებს ადამიანის სულს და გულს; რამდენ კარგ რასმე განიცდის ხოლმე ამ დროს ადამიანი!

— სარ. გ. ბოლაშოვის მაზრის გლეხები სისხლის სამართალში იყვნენ მიცემულნი ურჩობისა და მთავრობის წინააღმდეგობისათვის. 18 დამნაშავეში 13 გაანთავისუფლეს, ერთს 4 თვით დაპატიმრება მიუსაჯეს, 4 — რვა თვით.

(Сар. Л.)

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთ „Matins“-ს ატყობინებენ დეპეშით, რომ ჩემბერლენს, რომელსაც ამ დღეებში მოელიან ნატალში, განზრახვა აქვს თურმე შეჰკრიბოს სამხრეთ-აფრიკის გავლენიანი მოღვაწენი და მათთან ერთად მსჯელობა იქონიოს სამხრეთ აფრიკის კონფედერაციის პროექტის შესახებ. ამ პროექტით უნდა შესდგეს კავშირი ინგლისის ძველ ახალშენთა და ბურების ახლად შემოერთებულ რესპუბლიკათაგან. მართვა-გამგეობა საზოგადოდ ისეთივე იქნება, როგორც კანადაშიაო.

ლონდონში იმ აზრის არიან, რომ სასურველია ჯერ სავსებით დამყარდეს ახლად შემოერთებულ ახალშენებში წესიერება და შემდეგ მიეცეს მათ თვით-მმართველობაო.

— ორ თვე ნახევარმა განვლო მას შემდეგ, რაც ინგლისმა მესამედ გაილაშქრა სომალის „გიჟ მოლას“ წინააღმდეგ, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია თავის საწადელს. ინგლისის მთავრობას ეხლა კიდევ განუზრახავს მეოთხედ გაილაშქროს და როგორმე დასტუქსოს გალაღებული მბრძანებელი სომალილენდისა.

იტალიის მთავრობის ნება-რთვით, დეკემბრის 14-ს, პირველი სამხედრო რაზმი უკვე გაჰგზავნეს სომალილენდს; ამ რაზმმა (700 კაცი), რომელიც ბერბერიდგან გავიდა, იტალიის სამფლობელოზე გაიარა და ისე მიაღწია ობბიას. ახლო მომავალში ამავე გზით უნდა გაიგზავნოს კიდევ რამდენიმე რაზმი, — სულ სამი-ათას კაცამდე.

„გიჟი მოლა“ ამ ჟამად იმყოფება ჰალკაიაში, რომელიც ობბიიდგან 80 მილის მანძილზე მდებარეობს.

ინგლისის ჯარებს თან ექნებათ წაღებული 6 თვის სურსათი და სანოვაგე.

როგორც ვუწყით, მესამე ლაშქრობის დროს, საოცრად დამარცხდა ინგლისის მხედრობა. ძნელი სათქმელია, რა მოელის გენერალ მანნინგს, რომელიც პოლკოვნიკ სვეინის მაგივრად იქმნა დანიშნული. საქმე ის გახლავთ, რომ ობბია, რომელიც ინგლისის ჯარების სამყოფად აურჩევია მთავრობას, სრულიად მიუდგომელია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მუსსონების დროს, ე. ი. თებერვლიდგან მოყოლებული აგვისტოს დამლევამდე. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის ჯარი სრულიად მოწყვეტილი იქმნება ზღვის პირსა და მხოლოდ თავის ძალ-ღონისა და წინადვე დამზადებულ სანოვაგის ამარა უნდა დარჩეს. ეხლა კი მეტად ძნელია ლაშქრობა იმ ადგილებში აუტანელ სიცხეებისა და უწყლო მდებარეობის გამო, როგორც სვეინის რაზმში ნამყოფი ოფიცრები ამბობენ თურმე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„რევიზორი“ ნ. გოგოლისა.

უკვდავ გოგოლის იუმორი ისეთის განსაკუთრებულის იერისაა, რომ თითქმის შეუძლებელია მთარგმნელისათვის ამ იუმორის ქართულად სათანადოდ გადმოღება. ამასთანავე თვით ტიპები, რომელსაც იგი გვიხატავს, იმდენად თავისებურნი — რუსნი არიან, რომ ჩვენის მსახიობთათვის ამ ტიპების გაპიროვნება ყოვლად ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პიესა ისე უხეიროდ არის ნათარგმნი, როგორც „რევიზორია“.

მაგრამ, ჩვენს მსახიობთა სასახელოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ეს სიძნელე მათ დასძლიეს და, ცოტად თუ ბევრად, დაუახლოვდნენ დიდებულ ავტორის განზრახვას.

ამ მხრივ პირველი ადგილი ბ-ნ შათირიშვილს უნდა დაეთმოს. ეს მსახიობი ხლესტაკოვის როლს სწორედ ისე თამაშობს, როგორც თვითონ გოგოლს აქვს ნაჩვენები. დამატებითი წერილში საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი მსახიობი ხლესტაკოვს ავაზაკურის და გაიძვერაობის იერით ჰმოსავს და ამიტომ ხლესტაკოვი ემსგავსება ჩვეულებრივ მელოდრამულ გმირს, რომელიც ყველას ატყუებს, ყინულზედ აცურებს.

ეს ასე როდია. ხლესტაკოვი გაიძვერა არ არის, ამისათვის მას არც შესაფერი ჭკვა შესწევს. იგი თვისდა უნებურად ეძლევა ცხოვრების იმ ტალღას, რომელიც, უცაბედი შემთხვევის წყალობით, გაიტაცებს მას სიცრუის მორევისაკენ. იგი თითქოს კიდეც ფლიდობს, სტყუის, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ვინმე მოატყუოს, არამედ იმიტომ, რომ ყველანი და ყველაფერი მის გარშემო სიყალბეა; ხლესტაკოვი ამ სიყალბეს ბანს აძლევს, მისი ცნინი და ქუცმაცი ბუნება თავის და შესაფერ სტიქიას აქა ჰპოვებს და ამიტომ ფრთასა ჰშლის. ყოველი მისი მოქმედება, თუ სიტყვა ბავშვურის გულუბრყვილობით არის სავსე. მთელი მისი მოთხრობები იმის შესახებ, რომ იგი გრაფების და თავადების მეგობარია, რომ ერთხელ ფელდმარშლად მიიღეს, რომ დეპარტამენტის უფროსი იყო და იმის წინაშე თვით სახელმწიფო საბჭოც-კი თრთის — ეს ტყუილი როდია. ეს მხოლოდ გახსენებაა, სიმთვრალის დროს, წარსულ საოცნებო სურათებისა, როდესაც იგი, უბრალო რეგისტრატორი, სადღაც მეშვიდე სართულის რომელიმე ოთახში მოკუნჭული, ეძლეოდა ამაო, მაგრამ ცხოველ მყოფელ ოცნებას და ყველა ამბების გმირად თავისს თავსა ჰსახავდა.

ბ-ნ შათირიშვილს სწორედ ასეთის საზომით გაუთვალისწინებია ხლესტაკოვის არსება და ამიტომაც მისი თამაშობა იყო სადა, მაგრამ ამავე დროს ჭეშმარიტი. მხოლოდ მესამე მოქმედების მონოლოგი, რომელსაც მე ენით წარმოთქმული ოცნება ვუწოდე, — ვერ გაამრავალფეროვანა და ამასთანავე ამ მონოლოგის დროს ჩქარობდა. ბ-ნმა შათირიშვილმა რომ ეს ადგილიც ჯეროვნად შეიმუშავოს, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი საუკეთესო ხლესტაკოვი იქნება არამც თუ ჩვენს სცენაზედ, არამედ თვით რუსეთის საუკეთესო მსახიობებთან შედარებით.

ბ-ნ ვ. აბაშიძეს აკლია მხოლოდ ხმა და გარეგნობა, თორემ დანარჩენის მხრით შესანიშნავი გოროდნიჩია. სცენები ხლესტაკოვთან, განსაკუთრებით „ტრაქტირში“, — საუცხოვოდ იყო აღბეჭდილი მსახიობის მიერ. საკვირველის თანდათანობით გადადის მსახიობი შეკრთომა-აღელვებისაგან დამშვიდება-დაწყნარებაზედ. მეხუთე მოქმედების ფინალში ხმამ უსუსტა და ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ელფერი განუფანტა გოროდნიჩის კომიზმით აღსავსე სასომიხდილებას. ერთს რამეზედ ვერ ვეთანხმებით პატივცემულ მსახიობს. როდესაც მომქმედს თავის-თავად აქვს ლაპარაკი, — ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს ამბობს — მსახიობი თავს გვერდზედ მიიღებს და ამ სიტყვებს საზოგადოებისკენ ამბობს, ხან და ხან-კი მთელის სხეულით მიტრიალდება ხოლმე. ეს, მე მგონია, — კანონიერი არ არის. მომქმედი-პირი ამგვარ შემთხვევებში ფიქრს ეძლევა ხოლმე და ეს ფიქრი, ხმამაღლივ წარმოთქმული, საზოგადოებისაკენ არ არ უნდა იყოს მიმართული და ამიტომაც მსახიობმა პოზიცია არ უნდა გამოიცვალოს, რადგანაც ცხოვრებაში ეს არასოდეს არა ხდება; იმისათვის, რომ კაცმა თავში ფიქრი გაივლოს, საჭირო როდია უეჭველად სახე მიატრიალოს. შესაძლებელია — ვსცდებოდე, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნდა ამის შესახებ მეთქო რამ, რადგანაც ეს უნარი — ხმამაღლა ფიქრისა — ყველა მსახიობისაგან არის მიღებული.

ბ-ნი გუნია ოსიპის როლში ელფერ ნაკლები იყო და როგორღაც უნდილი. მეორე მოქმედების შესავალი მონოლოგი, მისის გადმოცემით, ერთკილოვანი გამოვიდა; ერთს ამბიდგან მეორეზედ გადასვლა შეუმჩნევლად მოსდიოდა. მსახიობმა არ გვიჩვენა აგრეთვე, რომ ოსიპი გაცვეთილია, ცბიერი და თავისს ბატონზედ ბევრად ჰკვიანი.

ბ-ნნი გამყრელიძე (ზემლიანიკა) აწყურელი (ხლოპოვი) და ივანიძე (მსაჯული) ძალიან ტიპიური მოხელენი იყვნენ ძველის დროისა. ბობჩინსკისა და დობჩინსკიზედ (გედევანოვი და საფაროვი) ესევე ითქმის, მხოლოდ ბ-ნ საფაროვს გადამეტებად უნდა ჩაეთვალოს ის მოქმედება, რომ, ბაღლინჯებზედ ლაპარაკის დროს, ბაღდადი გადაშალა ხლესტაკოვის საწოლზედ და ისე დაჯდა. ბობჩინსკი თავისთავად მეტად სასაცილოა და ამიტომ მარილის მოყრას არა ნდომობს მსახიობისაგან.

ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისას რაღაცა აკლდა გოროდნიჩის ცოლის როლში და ეს რაღაცა, მგონია, ის უნდა იყოს, რომ რუსის დედაკაცის იერი არა სდევდა მსახიობის მიერ გაპიროვნებულ ანნა ანდრეევნას.

თუ რომ ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისას რაღაცა რამ აკლდა, სამაგიეროდ ქ-ნ ლეჟავას ისეთი არაფერი მოეპოვებოდა, რომ მარია ანტონოვნას მიმსგავსებოდა. არსად სჩანდა პროვინციელ ქალის აღტაცება-აღფრთოვანება პეტერბურგელ ყმაწვილი კაცის მიმართ, კოპწიაობა და თანაც მორცხვი, გულუბრყვილო არშიყობა. მით უფრო საკვირველია ასეთი უნაყოფობა, რომ მსახიობ-ქალს შეეძლო ამ როლის მორევსა, მაგრამ, როგორც სჩანს, თავი არ აუტკივებია შრომით... არც ის ეპატიება მსახიობ-ქალს, რომ ავტორის განზრახვა თავისებურად გადააკეთა და ოთხის მოქმედების განმავლობაში ერთსა და იმავე კაბაში დარჩა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედგამოჭრილნი იყვნენ: ბ-ნი რომანიშვილი ექიმ ქრისტიან ივანიჩის როლში და ქ-ნი გამყრელიძისა ჯარის-კაცის ცოლის პოშლეპკინას როლში.

წარმოდგენას დიდძალი მოსწავლე ახალგაზდობა დაესწრო. მსახიობნი ამ ახალგაზდობამ აღტაცებით მიიღო.

—

„მეშჩანები“ (სცენები ბესემენოვის სახლში). დრამ. ესკიზი 4 მოქ. მ. გორკისა.

მაქსიმე გორკის „მეშჩანები“, სულ ერთი წელიწადია რაც დაიბეჭდა, მაგრამ იგი ამ ჟამად გადათარგმნილია ევროპიულ ყველა ენაზედ და მის სცენაზედ ცქერით, თუ სახლში წაკითხვით სტკბება, კმაყოფილდება და სულიერს საზრდოს იღებს მთელი განათლებული კაცობრიობა... დიდი სჯა და ბაასი რუსეთის გაზეთებში, რომელიც გამოიწვია ახლად დაბეჭდილმა „მეშჩანებმა“... ახმაურება აგრეთვე მთელი ევროპიული გაზეთობისა და მათგანვე საქვეყნოდ აღსარება, რომ „მეშჩანები“ ძლიერის ნიჭის ბეჭედს ატარებს, იმ ნიჭის, რომელიც კარგად იცნობს ახლანდელს საზოგადოებას, ამჩნევს მისს მყრალსა და დასობებულ ადგილებს და იცის, რა წამალია საჭირო უკუღმართი ცხოვრების წადმა დატრიალებისათვისათ...

აი, ეს ყველაფერი რომ გავიხსენოთ, მაშინ ჩვენთვისაც ფრიად საყურადღებო იქნება ამ პიესის გაცნობა და აგრეთვე ის, როგორ მიდის პიესა სცენაზედ. ამის შემთხვევას გვაძლევს ის გარემოება, რომ 19 დეკემბერს არტისტიულ საზოგადოებაში იგი წარმოადგინა ბ-ნ კრასოვის დასმა.

პიესის შესრულების დაფასებამდე უნდა ვსთქვათ, რომ „მეშჩანები“-ში არ მოიძებნება იმნაირი ადგილები, რაც ჩვენს საზოგადოებას მოსწონს, მასში თითქმის არ არის ის ჩვეულებრივი ნასკვი, რომელიც ყოველს პიესას თან ახლავს მოქმედებაც პიესში ძალიან ნაკლებად არის, რაც ავტორს ნაკლულოვანებად უნდა ჩაეთვალოს, მოძრაობას მოკლებული და თითქმის მოსაწყენიც უფრო პირველი მოქმედებაა. მთელი ოჯახობა ბესსემენოვისა: აკულინა, ტატიანა, პეტრე, იმავ ოჯახში დროებით მცხოვრები ტეტერევი, პოლია, პერჩიხინი სხედან და ჩაის სმენ ტკბილი მუსაიფით. ბოლოს ნილიც შემოვა და დაიწყებს წვენის ხვრეპას... აი პირველი მოქმედება. დანარჩენი მოქმედებები უფრო იტაცებენ მაყურებლის ყურადღებას, რადგან იქ ხან ახალ-თაობისა და ძველ თაობის შორის ხდება შეტაკება და ხან თვით ძველთაობაშიაც.

მსახიობთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ყველანი კარგად მომზადებულიყვნენ და კარგადვე შეეგნოთ თავისი როლები... სცენაზედ რომ შეგეხედნათ, უთუოდ თქვენს თავს წარმოიდგენდით სადმე, ბესსემენოვების სახლში... გრიმი და ტანისამოსი ხომ ზედ გამოჭრილი ჰქონდათ ყველას. ბესსემენოვის სახლში მაყურებელი ჰხედავდა ათასი ტიპის ხალხს. ერთი იყო მედგარი, მტკიცე, მაგრამ ძველებურის სჯულის კაცი და ყველაფერი უნდოდა თავის გარშემო ეტრიალებინა... მეორე იყო სტუდენტი, რომელიც ძველ ცხოვრებას ეშორებოდა და ახალი ცხოვრება-კი ვერ შეეთვისებინა და გაიძახოდა: თავისუფალი კაცი ვარ, თავისუფლება მინდაო. მესამე იყო გათახსირებული, ცხოვრებისგან გადათელილი მაწანწალა, რომელსაც ყველაფერი დაეკარგა, გარდა ადამიანური გრძნობებისა და ძალიან კარგად ამჩნევდა დღევანდელ ცხოვრების უკუღმართობას. აქვე იყო ღვთის სამართლის პირში მთქმელი კაცი, რომელიც არავის არ ერიდებოდა და თავის სათქმელს არ ჰკარგავდა არსად... ერთი სიტყვით, სცენაზე წარმოდგენას-კი არ ვუცქეროდით, არამედ ვცხოვრობდით და თვალ-წინ გვედგა სხვა-და სხვა ტიპები.

ყველა მოქმედნი პირნი განიყოფებიან ორს ბანაკად: ახალ-თაობა და ძველი თაობა. მეორე ბანაკის წარმომადგენლებიდგან ძლიერი და რწმენა განმტკიცებული არის მოხუცი ბესსემენოვი, მაგრამ ეს რწმენა განმტკიცებული კაცის გადაშენების გზას ადგია. მისს სიტყვებს მნიშვნელობა აღარა აქვს, მისს მხარეს არავინ იჭერს: შვილი პეტრე ერთხელ და სამუდამოდ უცხადებს, რაც შენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, ჩემთვის ის სულ მეტია. ბესსემენოვი უგირის, ანჩხლდება, მაგრამ ჰხედავს, აღარაფერი შეუძლია და მწარედ ამბობს: „მოვითმენ, მოვითმენ კიდევ, რაც მომივა, დეე მომივიდესო“. ნილმა იგი ხომ უფრო წინად მიატოვა...

ბესსემენოვის სულიერი მდგომარეობა, რომ წარმოგვედგინათ, უნდა გენახათ ამ სცენაში ბ-ნი სმირნოვი, რომელიც სრული განხორციელება იყო მისი...

ბ-ნ სვიტოვზე უნდა ითქვას ის, რომ მან კარგად შეასრულა როლი ტეტერევის, რომელიც წარმოგვიხატავს ახალს ცხოვრებას... მას ნათლად დაუნახავს ყოველი უვარგისობა, მომზადებული მის წინააღმდეგ საბრძოლველად; მაგრამ რა დაუნახავს, რომ ფეხქვეშ გადგმულ უსამართლობას ის ვერას დააკლებს, მისცემია ღვინოს, რათა ამით არ შეენიშნა უკუღმართი ცხოვრების მიმდინარეობა... ამის მიუხედავად, ტეტერევი სიფხიზლისა და სიმთვრალის დროს ხშირად წამოიყვირებს ხოლმე გულის სიღრმიდგან ამოხეთქილს მსჯავრს და ზიზღს უსამართლობისადმი. მაგალითად ის ამბობს ამ გვარს სიტყვებს: „სულელი მთელს თავის სიცოცხლეს ფიქრობს, შუშა გამჭვირვალი რათ არისო, ჭკვიანი გაიძვერა-კი სულ უბრალოდ იქცევა: შუშისაგან ბოთლს აკეთებს.... სულელი ფიქრობს ცეცხლი სითბოს რათ უშვებსო, ჭკვიანი კაცი-კი ზის ცეცხლთან და თბება“.. და სხვა... საზოგადოდ, ძალიან დაგვამაყოფილა ბ-ნმა სვიტოვმა ამ როლში, რისთვისაც ბევრჯელ გამოიწვია იგი როგორც ქანდარამ, აგრეთვე პარტერმა.

დასასრულ უნდა მივაქციოთ ყურადღება ნილს, ამ ძლიერს და პატიოსან წარმომადგენელს ახალი თაობისას, რომლის როლსაც ბ. კრასოვი ასრულებდა. ნილი იშვიათად გამოდის ხალხის თვალწინ სცენაზედ და როდესაც-კი გამოდის, უთუოდ ეჯავრება ბესსემენოვს, მის შვილს პეტრეს, რომელიც ამბობს; „თავისუფლება მინდაო“, ერთი სიტყვით, რომელიც არახუნებს სიტყვებს და არ მოქმედობს, თითქოს უმოქმედოდ რამე გაუმჯობესება შეიძლებოდეს. ნილს ეჯავრება აგრეთვე ტატიანა, რომელიც რაღაც განყენებულად მსჯელობს და, როგორც პეტრეს, ვერაფრისთვის მოუკიდია ხელი. ნილს ეჯავრება მთელი ოჯახი. მას უყვარს ცხოვრება, რომელიც მისი აზრით, გაუმარგლავი ბაღია, რომელსაც გაშენება უნდა... „მე მიყვარს ხმაურობა. მე ვიცი რომ ცხოვრება ზოგჯერ მწარეა. მაგრამ მე ეს უფრო მახარებს, მე მინდა შიგ შუაგულ ცხოვრებაში შევძვრე.. ერთი ავადგინო, მეორეს შემწეობა მივცე. აი საგანი ცხოვრებისა“ იძახის ნილი ერთ ადგილას. ამის პასუხად ტეტერევი ამბობს: „აი, აზრი დიდი მეცნიერებისა. აი აზრი მთელი ფილოსოფიისა, და წყეულიმც იყოს სხვა ფილოსოფია!, პეტრეს-კი არ მოსწონს ეს, რისთვისაც ნილი

მებრ ხაზინის ვალის შესავსებლად მოახლე გოგო აბრამოვისა. მარმონდის მოადგილემ ინჟინერ-მაიორმა კერბენმა სთხოვა 1820 წ. ტფილისის საქალაქო პოლიციას — დააფასეთ ნაფიც დამფასებლების შემწეობით მოახლე გოგო აბრამოვისაო. დამფასებლებმა დააფასეს გოგო 30 მანეთად ვერცხლის ფულით. ამის შემდეგ მოახდინეს პუბლიკაცია და დანიშნეს საჯარო ვაჭრობა განმეორებით. საჯარო ვაჭრობის დროს გოგოს მყიდველი ექვსი კაცი აღმოჩნდა. ყველაზედ მეტი ფასი, 110 მანეთი, ნადვორნი სოვეტნიკმა სოკოლოვმა მისცა.

1812 წელს დაუგირავეს ას მანეთ თეთრ ფულში ტფილისის მოქალაქეს ტოხატელოვს იმერელმა აზნაურმა ნიკოლოზ ქუთათელაძემ და იმისმა გლეხმა იორგი ჭავჭავანიძემ უკანასკნელის ქალი ანნა ძუძუმწოვარა ბავშვით — ხახანა გოგოით. ანნა მალე გარდაიცვალა. დარჩა ტოხატელოვს მარტო პატარა გოგო. 1820 წელს ტფილისს ჩამოვიდა იმერეთიდგან გლეხი გოგია შილაგაძე და მოსთხოვა ტოხატელოვს ხახანა, როგორც საკუთარი შვილი. ტოხატელოვმა გოგიას უარი უთხრა, მე შენ ვერ გიცნობ — ვინა ხარო. ამას გარდა, ხახანას იმათ დავუბრუნებ, ვინც დამიგირავაო, ისიც მაშინ, თუ გირაოს ას მანეთს დამიბრუნებენ თავის კანონიერი სარგებლით, აგრეთვე იმ ფულს, რაც დამეხარჯა ანნას დასაფლავებაზე და ხახანას გაზრდაზედო.

ტფილისის პოლიციას ტოხატელოვმა ისიც გამოუცხადა, რომ შილაგაძე ბავშვებით ვაჭრობსო, რამდენჯერაც-კი ჩამოვა იმერეთიდგან, სულ სხვა-და სხვა სახელებს ირქმევსო. მრავლისაგან პრავალი მაგალითიაო, უთქვამს ტოხატელოვს, რომ გოგიასთანა ტყუილი ძმები ჩამოდიან იმერეთიდგან საქართველოს. (Грузія)., ართმევენ აღებს მცირე წლოვან ბავშვებს, ვითომ და ბავშვები მათი ნათესავები არიან, და მერმე ხულახლა ჰყიდიან ან ისევ ქართლში, ან ახალციხეს.

ბავშვებით ვაჭრობა და მათი გაყიდვ-გამოყიდვა ძველი სენი და იარა იყო დასავლეთ ამიერ-კავკასიაში (იმერეთსა). დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა მთავრობას ამ სენის და ბოროტების ამოსაგდებად.

III

ცოფიანი ქათმები საქართველოში

1851 წ. სპარსეთში გავრცელდა ხმა, რომ ქათმებსა და ინდოურებს შიგნეულობაში ესახებათ მცურავნი და კვერცხებიდგანაც იჩეკებიან ძალიან საშიში და შხამიანი მცურავნიო. საყიზილბაშოდგან ეს უცნაური ამბავი ელვასავით მოეფინა ამიერ-კავკასიის პროვინციებს, სადაც მაჰმადიანობა ბინადრობდა.

სალოდავ ქათმებს და ინდოურებს ხწორედ სინსილა გაავლეს. ეს ამბავი მალე საქართველოსაც მოედო. ტფილისში ბაზრის ჭორიკანები და მოლაყბენი არწმუნებდნენ გამვლელ-გამომვლელსა, რომ ვითომ ადგილობრივმა საექიმო გამგეობამ განკარგულება მოახდინაო, გასწყვიტეთ სულ ერთიანად ქათმები, ინდოურები და მოსპეთ მათი კვერცხები, თორემ დადგება თუ არა 1852 წლის გაზაფხული, შინაური ფრინველი გაცოფიანდება და ხალხს დაჰკბენსო. მეტი ჯანი არ იყო, საექიმო გამგეობა საქმეში ჩაერია და უბრძანა საქალაქო პოლიციას, გამოუცხადე რუსულსა და ადგილობრივ ენებზე მოქალაქეთ, რომ ქათმები და ინდოურები ჯან საღად იმყოფებიან, ჭირი არა სჭირთ და არცა ფიქრობენ ხალხის დაკბენასაო. რაღა თქმა უნდა, რომ საექიმო გამგეობის განცხადებას ყური არავინ ათხოვა და არავინ დაიჯერა, რადგან უბირი ხალხი უფრო ხალისით და მტკიცედ იჯერებს იმისთანა ჭორსა, რომელიც ყველაზე მეტად უაზრო და სულელურია.

IV

მიწის ძვრა ტფილისში

28 მაისს, 1828 წ., დილის 4 საათზედ, ტფილისში კარგა ღონიერი მიწის ძვრა იყო. სომხების სასწავლებელში ჩამოინგრა თაღიანი, აგურით ნაშენი დერეფანი, რომელმაც სასიკვდილოდ გასჭყლიტა ორი ჯარის-კაცი და სამი მოქალაქე. ძრიელ დაშავდა აგრეთვე რამდენიმე კაცი.

V

ტფილისის მეეტლენი.

საქირაო ეტლები პირველად გაჩნდა ტფილისში 1824 წელსა. მათი რიცხვი იქნებოდა ასე 15 ან 16 ორ ცხენიანი დროჟკა. ისტორიამ შეგვინახა საეტლო ხელობის დამაარსებელთა სახელები. ესენი იყვნენ: ოთხი აფიცერი, რამდენიმე მოხელე და მათი მეუღლენი, განსაკუთრებით სასურსათო უწყებისა, ახალშენელნი ფრიცრიხ და ქრისტიანე მადერი და სამიც ტფილისის მოქალაქენი. კუჩრებად მხოლოდ სახელმწიფო დენშჩიკები იყვნენ, ან დროჟკის პატრონთა ყმები. მაშინდელმა ქართველობამ და სომხობამ სრულიად არ უწყოდა, რა ხილი იყო ცხენების მოხმარება-გამოყენება ეტლის შემწეობათ.

ა. ყიფშიძე.

გალანძღავს მას. ნიღბის გამოსვლა სცენაზე სიჩუმისა და სმენად გადაქცევის წამები იყო თეატრში. ან-კი რა წარმოსადგენია იმგვარი პატიოსანი კაცი, რომელიც ნიღბის დანახვაზე ერთი ორად არ გაიზარდოს და სულით არ ამაღლდეს.

სწორედ მადლობის ღირსნი არიან მსახიობნი ასე კარგათ თამაშობისათვის. თუ ჩვენ ზოგიერთი მსახიობი არ მოვიხსენიეთ, მაგალ. ქ-ნი მატელენი, რომელიც ელენეს როლს ასრულებდა, იმიტომ რომ მათი როლები უფრო უმნიშვნელონი იყვნენ. ჩვენ მთავარ როლების ამსრულებლების დაფასებით თვით ტიპების დახასიათება გვინდოდა.

ამრიგად პიესაში თუმცა არ არის ჩვეულებრივი ნასკვები და ცოტა მოძრაობა აქვს, პიესა მაინც ღრმა აზროვანია და ბევრს ბუნდოვანს კითხვებს არკვევს.

ა—ნა.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

21 დეკემბერი.

ფოთი. შუადღისას ექვსი შეიარაღებული ყაჩაღი ხაზინაში შეცვივდნენ და უცებ თოფები მიახალეს ჰერს. არეულობით ისარგებლეს. 30 ათასი მანეთი მოიტაცეს და გაიქცნენ. დარაჯები გამოუდგნენ, დაუწყეს თოფის სროლა, ერთი ყაჩაღი მოჰკლეს და ერთი დასჭრეს.

ყაზანი. ყაზანის საბჭოში პროფესორმა ხორვატმა აღნიშნა, რომ ქალაქის მოურავმა ლებედევმა ხიდის აშენების დროს ბევრი უკანონობა ჩაიდინაო.

შანჰაი. გერმანიის დანარჩენი ჯარიც გემებში ჩასხეს. გერმანიის უმთავრესმა კონსულმა გამოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა.

შანჰაი. ინგლის-ჩინეთის საზოგადოებამ შენთან ხელ-შეკრულობა შეადგინა იმის თაობაზედ, რომ შანჰაიდგან ნანკინში რკინის გზა ააშენოს.

გიბრალტარი. იუწყებიან, მაროკოს სულთანის ძმა მოლა-მაჰომედი ფეციდან წავიდა იმ აზრით. რომ აჯანყებულებს დაეცეს.

სოფია. ბიუჯეტის განხილვის დროს საერო კრებაში ოპოზიციის დეპუტატებმა სამხედრო ბიუჯეტის განზრახულ მომატების წინააღმდეგ ილაპარაკეს. ფინანსთა მინისტრმა შენიშნა, შეიძლება მომავალშიაც დიდი ფული დაგვჭირდეს სამხედრო საქმეებისათვისაო.

ვენა. „ნოიე ფრაიე პრესსე" ამბობს: რუსეთის საელჩოსთან დაახლოვებულ წრეებში ირწმუნებიან, ვენაში ყოფნამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლამზდორფზეო. იმპერატორის მიღებით მინისტრი დიდად კმაყოფილი დარჩაო.

ჩილი. უცებ ხუთმა ვულკანმა იფეთქა.

ლონდონი. ნიუ-მარკეტში გარდაცვალებულ კონსერვატორ დეპუტატის მაგიერ, ლიბერალი როზე აირჩიეს.

ტანჟერი. ფოსტა შეკვეთილ წერილთა ჩაბარების პასუხის გებას არა ჰკისრულობს, დეპეშა მოვიდა, რომ სულთანი გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. ფეცში 10 ათასზედ მეტი ურია, რომლებსაც სულთანის მთავრობა უსამართლოდ და უდიერად ექცეოდა, ეხლა მზად არიან ტახტის მაძიებლის მხარე დაიჭირონ. „ილ. ლიბერალ"-ი ამბობს: ხმა დადის ვითომ ტახტის მაძიებელი ფეცში შეიჭრა და ხალხმაც მეგობრულად მიიღოო.

პარიზი. „ფიგარო"-ში წერილი დაიბეჭდა სათაურით „ტოლსტოის მოღვაწეობა და დუხობორები". წერილის ავტორი პირუთვნელად სწერს დუხობორების მდგომარეობას რუსეთსა და კანადაში და ამბობს, რომ ფანატიკოსების პროპაგანდის მოსასპობად კანადაშიაც იგივე ღონის-ძიება მიიღეს, რაც რუსეთში იყო მიღებულიო. „ფიგარო, ამბობს, ტოლსტოის მოღვაწეობას შეუძლიან საშიში როლი შეასრულოს და გამხრწნელი გავლენა აქვსო.

22 დეკემბერი.

პეტერბურგი. ტავრიდის გუბერნატორს ტრეპოვს გამოეცხადა უმაღლესი მადლობა სამაგალითო წესიერებისათვის, რომელიც დაცული იყო მისის უდიდებულესობის ლივადიაში ყოფნის დროს.

უმაღლესი მადლობა გამოეცხადა რეველის ქალაქის მოურავს ფონ-გუკუს იმ კომიტეტში სასარგებლო მოქმედებისათვის, რომელიც გემ „რუსალკა"-ზედ დაღუპულ მეზღვაურთათვის ძეგლის დადგმას სცდილობდა.

მოქმედება იმ კომისიისა, რომელსაც საერო განათლების უწყებათა უმაღლეს სასწავლებლების გადაკეთება აქვს მინდობილი, გაგრძელდა 79 დღეს და 18 დეკემბერს დასრულდა სხდომები. შემუშავებული დადგენილებანი განსახილველად გადაეცემა საერო განათლების სამინისტროს სათანადო კოლეგიალურ დაწესებულებას.

ასხაბადი. „ზაკასპ. ობოზრ." აღნიშნავს სამხედრო უწყების თვალ-საჩინო მოქმედებას ანდიჟანში მხედრობის მოწყობის საქმეთა დახმარებისათვის; რამდენსამე დღეში გააკეთეს დროებითი ბარაკები ჯარის-კაცთა და აფიცრებისათვის. ბარაკები ორპირი ფიცრულ [illegible], შუაგული ამოვსებული აქვს მიწით და აგრეთვე ფეჩებიც გაუკეთეს, ჯარი ჩინებულად მოთავსებულია.

მომავალ წლიდგან „ზაკასპ. ობოზრ."-სთან გამოვა პირველი დროგამოშვებითი გამოცემა სპარსულს ენაზედ; ამ გამოცემის დანიშნულება ის არის, რომ რუსეთის გავლენასა და სავაჭრო დამოკიდებულებას უწინამძღვროს ჩრდილოეთ სპარსეთში.

მოსკოვი. 21 დეკემბერს გამოვიდა პირველი № გაზეთისა „ტორგოვი კურიერ".

სტამბოლი. ბენდერ-აბასში ხოლერა გაჩნდა; ყოველ დღე კვდება 10—15 კაცი.

რომი. „ტრიბუნა" აცხადებს, რომ ფერრარა ტანჟერიდგან არ მიდის.

სოფია. საერო კრებამ ერთხმად გადასწყვიტა დასტოვოს ძალაში სავაჭრო ხელ-შეკრულობა რუმინიასთან და გადასდოს სხდომები 10 იანვრამდის.

ტანჟერი. მეჩითში წაკითხული სულთანის ეპისტოლე ამტკიცებს ჯარები დამარცხდნენო და ამბობს, რომ აჯანყებულნი მალე იქმნებიან დასჯილნიო.

ვაშინგტონი. გამოქვეყნებულია პროექტი ტრესტების საწინააღმდეგო კანონისა, რომელიც სენატს წარედგინა.

ყაზანი. საერობო კრების შუამდგომლობაზე, რომ ყაზანიდგან გაყვანილ იქმნას ვოლგას იქეთა რკინის გზა, რკინის გზების დეპარტამენტის დირექტორი იტყობინება თინახმად ვიტტეს განკარგულებისა შემდეგს: 10 ივნისს უმაღლესად დამტკიცდა პროექტი, რომლით გაყვანილ უნდა იქმნას უმოკლესი გზა ყაზანსა და მოსკოვს შუა, ვოლგაზე ხიდი უნდა გაკეთდეს სოფლად ვიაზოვის, ვოლგას იქითა რკინის გზის შესახებ ლაპარაკიც-კი არ ყოფილაო.

ფრანკფურტი-მაინზე. ოტტომანის ბანკის დირექტორი ატყობინებს დიდ ვეზირს, რომ დაინიშნა რუვიეს წარმომადგენლად სახელმწიფო ვალების გაერთიანების საქმისათვის.

23 დეკემბერი

პეტერბურგი. საგარეო საქმეთა მინისტრი ლამზდორფი შეუდგა სამინისტროს მართვას. —გარდაიცვალა საიმპერატორო თეატრის ცნობილი არტისტი საზონოვი.

ლაგუარა. დილით გერმანიის ჯარმა დაიპყრო დამოენა ტუეროკამელო.

ლაგუარა ნაპირის დარაჯები სამსახურიდგან დაითხოვეს. მრავალი კაცი დარჩა უმუშაოდ. შიში აქვთ ამბოხების. ინგლის ხომალდის „Trebune"-ს უფროსმა აცნობა პრეფექტს, რომ მაზე ჰკიდია ინგლისის, გერმანიის და იტალიის ქვეშევრდომთა უშიშარი მდგომარეობაო.

სოფია. 1903 წლის ხარჯთ აღრიცხვის კრება 10 იანვრამდე გადაიდო. შემოსავალია 98,017,100 ფრანკი, გასავალი--97,653,910 სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი ულაპარაკოდ დაამტკიცეს, თუმცა 3 მილიონით მეტი იყო.

პარიჟი. სენატის არჩევნების პირველი რიგის შედეგი: მეორეჯერ ამორჩეულ იქმნენ კონსერვატორი 7, პროგრესისტი—18 (1 ახალია), რადიკილი—20 (6 ახალია), რადიკალ-სოციალისტი—5. ასარჩევია კიდევ 23. მეორე რიგის: რესპუბლიკანელი პროგრესისტი და ლიბერალი—2, რესპუბლიკანელი—3, რადიკალი—2 (6 ახალია), რადიკალ-სოციალისტი—2 (1 ახალია), ასარჩევია კიდევ—3.

მუკდენი. ჩინეთის მთავრობამ სასახლეები ჩაიბარა.

პეტროზავოდსკი. საგუბერნიო კრებამ დაადგინა რომ დარბაზში ჩამოკიდოს ფიცარი ხელმწიფე იმპერატორის სიტყვების ზეწარწერით, რომელნიც წარმოთქმულ იყო კურსკის ერობის წინაშე 29 აგვისტოს.

ვენა. ნამდვილ წყაროებიდგან იტყობინებიან, რომ კონსტანტინოპოლს რუსეთის საელჩოს მდივანს ირავითარი მონაწილეობა არ მიუღია ლამზდორფის, კაპნისტისა და გალუხოვსკის შუა მოლაპარაკებაში მაკედონიის საქმეთა შესახებაო.

პარიჟი. სენატორებმა არჩეულ იქმნენ კომბი და ფინანსთა მინისტრი რუვიე.

მადრიდი. მაროკოს სულთანი მომწყვდეულია ფეცაში. ოიის დაწყებას ყოველ წამში ელიან.

პრეტორია. მოვიდა ჩემბერლენი, რომელსაც მრავალი ხალხი აღფრთოვანებით დაუხვდა.

ლონდონი. ბერტი დაინიშნა რომს ელჩად.

ნიუ-იორკი. დაკავებული ხომალდები გაიყვანეს პურტოკაბალის ნავთ-სადგურიდგან. საქმე უთოფოთ დასრულდა. ვენესუელის ხომალდი „სუმძადორრო" ყველა 40 ნავს სენის ნავთ სადგურზედ მოიყვანენ.

პეტერბურგის ბირჟა, 20 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	75,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	ციფრები ტელეგრაფისაგან შერყვნილია.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 89⅝ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, " " "	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	410 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	205½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—9)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნი მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	3„
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
დაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ე. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუენი გაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბა[illegible]ნიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ლეწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი" მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50
И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	.
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова.	„	30

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на газету

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ"

(ГОДЪ ИЗДАНІЯ XXVI-й)

Въ 1903 году, какъ и раньше, газета будетъ выходить ежедневно, заключая въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъотдѣлы: I. Дѣйствія и распоряженія правительства. II. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и «Россійскаго телеграфнаго агентства». III. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городской жизни и городского самоуправленія. IV. Внутреннія извѣстія. V. Иностранныя извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ Кавказа (отъ нашихъ корреспондентовъ). VIII. Злободневные фельетоны. IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей и кавказской). XII. Фельетоны (городской, обозрѣніе кавказской жизни, популярно-научный, историческій, беллетристика, иностранной и внутренней общественной жизни, журнальное обозрѣніе и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Смѣсь. XVI. Справочный отдѣлъ и объявленія.

По мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя „иллюстрированныя прибавленія".

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

(3—3.—3)

Открыта подписка на 1903 годъ, X годъ изданія,

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО",

органъ Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о производенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. —Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

Задача газеты заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ «Вопросы и отвѣты» газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 р., 1/4 года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

(3—2) Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ.**

Открыта на 1903-й годъ подписка

НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ"

съ безплатнымъ приложеніемъ

„Вѣстника Горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ"

На 1903-й годъ въ портфелѣ редакціи имѣется много цѣнныхъ трудовъ авторовъ, какъ принимавшихъ участіе въ газетѣ ранѣе, такъ и новыхъ, и въ томъ числѣ столичныхъ.

По прежнему, время отъ времени будутъ выходить иллюстрированныя литературныя приложенія къ газетѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА въ Тифлисѣ: на 12 мѣс.—10 руб., на 11 мѣс.—9 р. 50 к., на 10 мѣс.—9 руб., на 9 мѣс.—8 р. 50 к., на 8 мѣс.—7 р. 75 к., на 7 мѣс.—7 р., на 6 мѣс.—6 р., на 5 мѣс.—5 р., на 4 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—3 р., на 2 мѣс.—2 р., на 1 мѣс.—1 р.; иногороднымъ: на 12 мѣс.—11 р. 50 к., на 11 мѣс.—10 р. 75 к., на 10 мѣс.—9 р. 75 к., на 9 мѣс.—9 р., на 8 мѣс.—8 р. 25 к., на 7 мѣс.—7 р. 25 к., на 6 мѣс.—6 р. 50 к., на 5 мѣс.—5 р. 50 к., на 4 мѣс.—4 р. 50 к., на 3 мѣс.—3 р. 25 к., на 2 мѣс.—2 р. 25 к., на 1 мѣс. 1 р. 25 к.; заграницу: на 12 мѣс.—17 р., на 11 мѣс.—16 р., на 10 мѣс.—15 р., на 9 мѣс.—13 р. 50 к., на 8 мѣс.—12 р., на 7 мѣс.—10 р. 50 к., на 6 мѣс. 9 р., на 5 мѣс.—7 р. 50 к., на 4 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—4 р. 50 к., на 2 мѣс.—3 р., на 1 мѣс.—1 р. 75 к. ОБЪЯВЛЕНІЯ: съ мѣстн. объявл. (кавказскихъ) за строку петита или занимаемое ею мѣсто на I-й стр.—16 к., и на 4-й стр.—8 к. **Многократныя объявленія со значительною скидкою.**

Подписка и пріемъ объявленій въ конторѣ газ. „Кавказъ" (Тифлисъ, Эриван. пл., д. Харазовой). Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій за границей, Петербурга, Москвы, Царства Польскаго и прибалтійскихъ губ. принимаются въ конторѣ объявленій А. и Э. Метцль и К-о въ Москвѣ и Петербургѣ—по 10 к., на 1-й стр. вдвое.

Плата за объявленія въ «Вѣстникѣ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ» за строку петита (50 буквъ) 15 к., за цѣлую страницу 20 руб. Многократныя объявленія по соглашенію. Отдѣльные №№ по 15 коп.

(5—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.